სანოტარო მ[illegible]ების იდი[illegible]ური ნ[illegible]ა
91205804068923

საქართველო

სანოტარო მოქმედების დასახელება

იურიდიული პირის (ასევე, ინდივიდუალური მეწარმის მიერ) მიერ მინდობილობის/რწმუნებულების დადასტურება

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი

N230553862

რეგისტრაციის თარიღი

01.05.2023 წ

ნოტარიუსი: ალექსანდრე მამისაშვილი
მისამართი: ქ.თბილისი თემქა მე-10 კვარტალი, კორპუსი 36ა, ბინა N47
ტელეფონი: 2-60-69-13

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

სანოტარო აქტი

საქართველო

ორიათას ოცდასამი წლის პირველ მაისს ალექსანდრე მამისაშვილს ნოტარიუსს, ქ. თბილისში, ჩემს სანოტარო ბიუროში რომელიც მდებარეობს მისამართზე: ქ. თბილისი, თემქა, X კვარტალი კორპუსი 36ა ბ. № 47. მომმართა **შპს "რივა"-ს (ს/კ №200000417) დირექტორმა ვასილ მეტრეველმა** , რომელმაც განაცხადა, რომ **ავთანდილ ლომსაძისათვის** სურდა შესაბამისი უფლებამოსილების მინიჭება, მინდობილობის შედგენა და მისი სანოტარო წესით დამოწმება. მე შევამოწმე მისი პირადობა მის მიერ წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტით და დავრწმუნდი, რომ ნამდვილად **შპს "რივა"-ს (ს/კ №200000417) დირექტორმა ვასილ მეტრეველმა (დაბ. 17.09.1960წ. თბილისში, რეგისტრირებული: თბილისი რაგლაძის ქ.№39ა, ბინა№25, პირადი№01023002060)** მომმართა. მე, შევამოწმე მისი ქმედუნარიანობა და ვადასტურებ, რომ მის ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ მქონდა. მე დავრწმუნდი **ვასილ მეტრეველის** ნების გამოვლენის ნამდვილობაში, გარიგების შინაარსში და შემდეგ **შევადგინე** მინდობილობის პროექტი, რომელიც წავუკითხე და განვუმარტე საკუთრების მიმნდობს. მან წაიკითხა მინდობილობა და მკაფიოდ და ნათლად განაცხადა, რომ მინდობილობა **ზუსტად** გამოხატავს მის ნებას და ჩემი თანდასწრებით პირადად მოაწერა ხელი შემდეგ მინდობილობას.

მ ი ნ დ ო ბ ი ლ ო ბ ა

ორიათას ოცდასამი წლის პირველ მაისს **შპს "რივა"-ს (ს/კ №200000417) დირექტორი ვასილ მეტრეველმა – ავთანდილ ლომსაძეს / დაბ. 10.02.1983წ. თბილისში, რეგისტრირებული: თბილისი, სვანეთის ქუჩა, N 23 პირადი №01019015694/** მიანიჭა შემდეგი უფლებამოსილება:

ავთანდილ ლომსაძე უფლებამოსილია იყოს შპს "რივა"-ს (ს/ნ 200000417) დირექტორის ვასილ მეტრეველის წარმომადგენელი ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის არქიტექტურის სამსახურში, შეიტანოს განაცხადი და განახორციელოს ყველა საჭირო ქმედება ქ. თბილისში, ანაპის 414-ე დივიზიის ქუჩა #16-ში მდებარე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების (შენობა 01/10 და 02/14) ფასადებზე I კლასის სამუშაოების განხორციელებაზე თანხმობის მისაღებად.

მინდობილობა გაცემულია სამი წლის ვადით და ძალაშია 2025 წლის 01 მაისის ჩათვლით.

მინდობილობა შედგენილია სამ თანაბარმნიშვნელოვან ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი ინახება ნოტარიუსი ა.მამისაშვილის სანოტარო არქივში, ხოლო დანარჩენი გადაეცა მიმნდობს.

გადახდილია 35 (ოცდათხუთმეტი) ლარი, აქედან სანოტარო საზღაური 30 (ოცდაათი) ლარი, თანახმად „სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისთვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების" შესახებ საქართველოს მთავრობის დადგენილების (2011წლის 29 დეკემბერი, №507) 31-ე მუხლისა და რეესტრში რეგისტრაციის საფასური 5 (ხუთი) ლარი, თანახმად საქართველოს მთავრობის დადგენილების (2011წლის 29 დეკემბერი, №507) 39-ე მუხლისა.

მიმნდობი: ვასილ მეტრეველი

ნოტარიუსი: ალექსანდრე მამისაშვილი